შენიშვნები და კომენტარები

თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით

კანონპროექტის მე-3 მუხლის მიხედვით, კანონის 33-ე მუხლს ემატება მე-5 პუნქტი, რომლის თანახმადაც, ლაგოდეხის აღკვეთილში დაშვებულია თევზჭერა, ნადირობა და სამონადირეო მეურნეობის წარმოება.

ლაგოდეხის აღკვეთილის საერთო ფართობი შეადგენს სულ 2155,2 ჰექტარს. ის მოიცავს მხოლოდ იმ ტერიტორიას, სადაც განლაგებულია ვიზიტორთა ცენტრი და მოწყობილია ტურისტული ბილიკები, ასევე ადგილებს, სადაც მოსახლეობა კანონის ფარგლებში ტრადიციულად მოიპოვებს სათბობ შეშას. შესაბამისად, აქ ფიზიკურად შეუძლებელია ნადირობა და მით უმეტეს, სამონადირეო მეურნეობის მოწყობა. კანონში მხოლოდ იმის დაფიქსირებაც კი, რომ ლაგოდეხის აღკვეთილში შეიძლება ნადირობა, უარყოფითად აისახება ეკოტურისტების რაოდენობაზე, რაც გამოიწვევს დაცული ტერიტორიის გარშემო ეკოტურიზმის სფეროში სამუშაო ადგილებისა და მოსახლეობის შემოსავლების კლებას.

ჩნდება ეჭვი, რომ ამგვარი ჩანაწერი გათვლილია იმაზე, რომ მზადდება სიტუაცია ლაგოდეხის ნაკრძალის მნიშვნელოვანი ნაწილის აღკვეთილად გადასაკეთებლად, რათა მოხერხდეს ნადირობის დაკანონება ახლანდელი ნაკრძალის ტერიტორიაზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილება უარყოფით ზეგავლენას იქონიებს საქართველო-გერმანიის ორმხრივ ხელშეკრულებაზე. ამჟამად, მხოლოდ კავკასიის ბუნების ფონდის (CNF)[1] მიერ სპეციალურად ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილია 267 000 ევროს ოდენობის გრანტი. მიმდინარეობს საქართველოსა და გერმანიას შორის დამატებით რამდენიმემილიონი ევროს ოდენობის გრანტის გამოყოფის შესახებ მოლაპარაკება. ასეთმა ჩანაწერმა, კი არა მხოლოდ დამატებითი, არამედ მიმდინარე რამდენიმე მილიონიანი დახმარების შეფერხება შეიძლება გამოიწვიოს.

[1] გერმანიის მთავრობის სამხრეთ კავკასიის ბუნების დაცვის პროგრამის ერთ-ერთი მიმართულება